ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №385 ბრძანებით „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, გენდერული ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და შუალედური შედეგებისთვის.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია გენდერული ბიუჯეტის შემუშავება და პროგრამებისა და პროექტების დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროების გათვალისწინებით.

ამდენად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2022 წელს მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები.

ოზურგეთის მერის 2021 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც გენდერული ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, GIZ ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში, ამასთან პროგრამებს/ქვეპროგრამებს აქვთ გენდერული ინდიკატორები.

პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები:

- პროგრამა - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (0201); ქვეპროგრამები: გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია (020102); საგზაო მოძრაობის ორგანიზება (020103);

- პროგრამა - წყლის სისტემების განვითარება (0202); წყალსადენის შიდა ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია (020201);

- პროგრამა - საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება (0203); სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (020301);

- პროგრამა - გარე განათება და ელმომარაგება (0207); გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია (020701);

- პროგრამა - სკოლამდელი განათლება (0401); ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (040101);

- პროგრამა - არაფორმალური განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (0403); არაფორმალური განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები (040301); გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (040302)

- პროგრამა - სპორტის განვითარების ხელშეწყობა (0501); ქვეპროგრამა - მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (050101); სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა (050102);

- პროგრამა - კულტურის განვითარების ხელშეწყობა (0502); ქვეპროგრამა - კულტურის ობიექტების დაფინანსება (050204);

- პროგრამა - ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (0601); ქვეპროგრამა - მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (060102); ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება (060106);

- პროგრამა - სოციალური მხარდაჭერის პროგრამა (0602); ქვეპროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (060204); სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (060208); ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა (060212).

სამომავლოდ, კვლავ გაგრძელდება მუშაობა გენდერულ ბიუჯეტზე და პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფორმირების დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.